ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/02

დაბა ქედა, 14 თებერვალი, 2020 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 13:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
უშანგი დუმბაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ მანველიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე;
ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;
თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი;
გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
კარლო თურმანიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ბაქარ ბარამიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;
ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;
ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი; ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/2 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

14 თებერვალი 2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	კარლო თურმანიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	ბაქარ ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	უშანგი დუმბაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ამირან ცინცაძე	საკრებულოს წევრი	
18	ბადრი შავლიძე	საკრებულოს წევრი	
19	ოთარ ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	ზურაბ თავდგირიძე	საკრებულოს წევრი	
21	თემურ ავალიანი	საკრებულოს წევრი	
22	რამინ ბერიძე	საკრებულოს წევრი	
23	გენადი არძენაძე	საკრებულოს წევრი	
24	გოჩა გათენაძე	საკრებულოს წევრი	

დღის წესრიგის დამტკიცებამდე განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრმა გენადი არძენაძემ და კითხვით მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, დიდთოვლობის გამო თუ განახლებდა მუშაობას 17 თებერვლიდან საბავშვო ბაღები და სკოლები?

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედაში 15 მძიმე ტექნიკა მუშაობს და ინტენსიურად იწმინდება თოვლისგან სოფლების საავტომობილო გზები. ასევე ენერგო-პრო ჯორჯია, რომლებსაც დახმარებას ადგილობრივი მოსახლეობაც უწევს, ცდილობს დროულად აღარდგინოს დაზიანებული ელექტრო გადამცემი ხაზები, რათა მოსახლეობას ელ. ენერგია მიეწოდოს. მუნიციპალიტეტის მერია ანხორციელებს ყველა სოფელის სკოლებსა და ბაღებში მისასვლელი გზის გაწმენდით სამუშაოებს, მისივე განცხადებით 17 თებერვლისთვის ბაღები და სკოლები შეუფერხებლად გააგრძელებენ საქმიანობას.

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 თებერვლის №01-06/02 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. **„„ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

4. **ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სულიკო სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 თებერვლის №01-06/02 მორიგი სხდომის წარმოდგენილი დღის-წესრიგი.

1. **მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში უნდა დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე (შემოსული დოკუმენტი №12/04 07.02.2020 წ. და შიდა დოკუმენტი №28-04 12.02.2020 წ).

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2020 წლის 21 თებერვლის დღის 17:30 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2020 წლის 24 თებერვლის დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 28 თებერვალი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №4).

2. მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში უნდა დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „„ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე (შემოსული დოკუმენტი №12/04 07.02.2020 წ. და შიდა დოკუმენტი №28-04 12.02.2020 წ).

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2020 წლის 21 თებერვლის დღის 17:30 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2020 წლის 24 თებერვლის დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„„ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 28 თებერვალი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება №5).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (შემოსული დოკუმენტი №17/04 11.02.2020 წ. და შიდა დოკუმენტი №28-04 12.02.2020 წ.).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გენადი არძენაძემ ითხოვა განმარტება, რატომ არ შედგა 16 ტენდერი და რა ღონისძიებები ტარდებოდა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში?

სულიკო ბოლქვაძემ განმარტა, რომ 16 ტენდერი არ შედგა იმ მომენტისათვის, ხოლო შემდეგ გამოცხადდა განმეორებით, მხოლოდ ერთი ტენდერი - ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრაული პარკის რეაბილიტაცია აღარ გამოცხადებულია, მონაწილეების მიერ არსებული დავების გამო ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენა დროში გაიწელა და მისი დარჩენილ დროში დასრულება პრაქტიკულად შეიძლებელი იყო. შპს ,,დიდგორმა" ვერ შეასრულა სოფელ ახოს ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოები, რის გამოც შეუწყდა ხელშეკრულების მოქმედება დეკემბრის თვეში. ამასთან 4 კომპანიას გადაუვადდა სამუშაოების შესრულების ვადები. სამუშაოების შესრულების დროს, პროექტში აღმოჩენილი უზუსტობების გასწორების გამო. მაგალითად შპს ,,ზადუ"-ს გოგებაშვილის ქუჩის სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები გაუგრძელდა ერთი თვით.

სხდომის თავმჯდომარემ მოითხოვა განმარტება, თუ რატომ ხდება სამსახურში შემოსულ განცხადებებზე პასუხის დაგვიანება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წლის განვლილ პერიოდში სულ სამსახურში შემოსულია 1008 წერილობითი დოკუმენტი მათგან 497 მოქალაქის განცხადება, 440 კორესპონდენცია და მოხსენებითი ბარათი. მოქალაქეთა ძირითადი განცხადებები შეეხება მილების, სახურავების გამოყოფას, სხვადასხვა პროექტების განხორციელებას და ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, სამსახურის განყოფილებებში შედგენილია და გაგზავნილია 339 წერილობითი დოკუმენტი სახელმწიფო უწყებებში და კერძო კომპანიებში, რომლებიც შეეხება ქონების რეგისტრაციას, მათი მუნიციპალიტეტზე გადმოცემას, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების და სხვა საკითხებს. ყველა დოკუმენტაცია განხილული იქნა დროულად, არის გაცემული შესაბამისი პასუხები, დაგვიანება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არის საჩივრები, რომელიც მოითხოვს მოკვლევას და შესაბამისი პასუხის მომზადებას.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ რა ღონისძიებები ჩატარდა მოსაკრებლების ამოღების მიზნით?

მომხსენებელმა განმარტა, რომ 2019 წელში ოთხ ერთეულ მშენებლობაზე გაიცა ნებართვა, მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის სახით შემოვიდა 727,37 ლარი. წლის განმავლობაში 168 იურიდიულ და ფიზიკურ პირზე სულ გაწერილი იქნა დასუფთავების მოსაკრებლის სახით 44357 ლარი. მათგან გადასახადის სახით შემოსულია 20816 ლარი. დღემდე პრობლემად რჩება გაწეული მომსახურების მიუხედავად დაბისა და სოფლის მოსახლეობისაგან შესაბამისი მოსაკრებლის ამოღების საკითხი, საკრებულოს მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად. რაც ერთ სულ მოსახლეზე ყოველთვიურად დადგენილი 50 თეთრის ოდენობით. გაწეული მომსახურების მიხედვით გაანგარიშების შესაბამისად იგი შეადგენს ყოველთვიურად 1200 ლარს და წლიურად 14400 ლარს. ასევე იურიდიული პირებისაგან გადაუხდელმა თანხებმა წლის განმავლობაში შეადგინა 23541 ლარი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება №6).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა სულიკო სურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (შემოსული დოკუმენტი №16/04 11.02.2020 წ. და შიდა დოკუმენტი №28-04 12.02.2020 წ.).

აზრი გამოთქვეს:

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ რა ღონისძიებები ტარდება ინერტული მასალების გატანისას გზის დანაგვიანების შემთხვევაში (სველი მასის გადაზიდვისას)?

მომხსენებელმა განმარტა, რომ სისტემატიურ კონტროლზეა აყვანილი მდინარე აჭარისწლის სანაპიროდან ინერტიული მასალების მომპოვებელი კომპანიები, რათა არ მოახდინონ გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილის დანაგვიანება. გამოვლენილი ფაქტების შემთხვევაში მათზე ტარდება კანონით გათვალისწინებული ზომები (ჯარიმა პირველ შემთხვევაში 300 ლარი, ხოლო განმეორებისას 900 ლარი).

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ ზედამხედველობის სამსახურთან ერთად უნდა გაგრძელეს დასუფთავების აქციები მთელს ქედის ტერიტორიაზე, რომელშიც მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად მიიღებს მონაწილეობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №7).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და 13:00 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შუქრი თურმანიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ჰამიდა ზოიძე